11/08/2025

MES 6 25 0000969785

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 30 ივლისს 12:00 საათზე.** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მანანა მოისწრაფიშვილი
დავით კუპატაძე
შორენა ხუბუნაია
ირმა ქორთუა
გიორგი მამასახლისი
ხათუნა ურუშაძე
შორენა ხუბუნაია
ქეთევან ანთაძე
თამილა გრძელიშვილი
გიული გურგენიძე
მზია ბაკურიძე
თორნიკე თუთარაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი
ხარისხის მართვის ასისტენტ-მენეჯერი - ქრისტინე ხურციძე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - დავით მაზმიშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - მარიამ კახურაშვილი

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
დირექტორი - თეიმურაზ ლორთქიფანიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ძაგანია
სასწავლო პროცესის მენეჯერი - ქეთინო ბაგაური
PR და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - თამარ ნეფარიძე

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი
დირექტორი - ნათია შათირიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა აბდალაძე
იმატერიალური რესურსების და ფინანსური მენეჯერი - რაკლი ყორღანაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 29 მაისის MES 1 25 0000595019 ბრძანების (ცვლილება ბრძანება N MES 2 25 0000854292 10/07/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში ვიზიტის შესახებ საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წლის 30 ივნისს დაწესებულებაში (მის. ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.N 14 ა) განხორციელდა ვიზიტი "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით შესაბამისობის დასადგენად. ზემოაღნიშნული საქმისწარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულებაში შესწავლილი იქნა დამატებით მასალები, შეფასდა ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიული

სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე, შეფასდა მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსები. ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ფუნქციონირება ავტორიზებულ რეჟიმში აქვს ახალდაწყებული, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ხარისხიანად, დაწესებულების ადმინისტრაცია და პროგრამის განმახორციელებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან სასწავლო პროცესების განხორციელებას, პროფესიული სტუდენტები გამოთქვამენ კმაყოფილებას პროგრამის განხორციელების მიდგომების მიმართ, თუმცა განვითარების მიზნით დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა რჩევა დახვეწონ და განავითარონ მარეგულირებელი აქტები, რაც ასახულია ქვემოთ განმავითარებელ რეკომენდაციებში. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი ხასიათის განმავითარებელი რეკომენდაციები • დაწესებულებამ სასურველია ყურადღება მიაქციოს ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. • დაწესებულებამ სასურველია გადაამუშავოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია, განავრცოს დასარეგულირებელი საკითხები, გაწეროს პროცედურულად, პასუხისმგებლობებისა და პროცესისთვის საჭირო ვადების მითითებით. ასევე, რიგ შემთხვევებში, (მაგ. საქმისწარმოების წესი) დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა და წესი მოიყვანოს შესაბამისობაში.

სტანდარტთან მიმართებაში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია

2.2.1.5. ვინაიდან დაწესებულებაში ფიქსირედება ბიბლიოთეკაში პროფესიული სტუდენტების მნიშვნელოვნად დაბალი აქტივობა, დაწესებულებამ სასურველია მათთვის განახორციელოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წამახალისებელი აქტივობები, დაგეგმოს და ჩაატაროს საინტერესო სემინარები და ღონისძიებები, შეუქმნან პროფესიულ სტუდენტებს მუშაობისა და დასვენებისთვის სამკითხველო სივრცეში მიმზიდველი გარემო, რათა მათ გამოუმუშავდეთ ბიბლიოთეკით სარგებლობისა და წიგნთან მუშაობის ჩვევები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

ექსპერტის განცხადებით, ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფისთვის პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი გაზრდილი რაოდენობის (312 პროფესიული სტუდენტის) შესაბამისად, დაწესებულების მიერ დამატებული და გაძლიერებულია სააუდიტორიო რესურსი, კერძოდ ამ ეტაპისთვის დაწესებულების მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 4 A C და 1 B აუდიტორია, რომლებშიც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინფორმაციით განხორციელდება მხოლოდ საკვალიფიკაციო პროგრამები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ახორციელებს მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებს, რომლისთვისაც გამიჯნული აქვთ ინფრასტრუქტურა. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა სააუდიტორიო დატვირთვების ცხრილი გაზრდილი ჯგუფების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით 12-12 ჯგუფზე თითოეულ ჯგუფში 26-26 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც განხილული იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ და დასტურდება, რომ მათ მიერ მართლზომიერ

მფლობელობაში არსებული სააუდიტორიო რესურსი მოთხოვნილი კვოტის (312 პროფესიული სტუდენტი) გამტარუნარიანია. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით, ციფრული სადემონსტრაციო საშუალებებითა და კომპიუტერული ტექნიკით. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსით შესაძლებელია მაქსიმუმ 312 პროფესიული სტუდენტის სწავლება 2 მიღებაზე, თითო მიღებაზე 6-6 ჯგუფი, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობით 26-26. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულების მიერ ასევე დამატებულია გაზრდილი კვოტის შესაბამისად ადგილები პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულებებში. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ რესურსზე წვდომა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ 4 საწარმოსთან ავტორიზაციის ვადით: შპს დომუს კონსტრაქშენი, შპს ა-ლ.ფ.ა ჯგუფი, შ.პ.ს. ,,დევარტ ჯგუფი', შპს ს. ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა. ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 312 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით ორ მიღებაზე განაწილებით, შესაბამისად ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნა შესაბამისობაშია. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროგრამის დამატების დროს ახორციელებდა 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს 8 პროფესიული მასწავლებელი, 2 მხოლოდ ზოგად მოდულებს და 1 მასწავლებელი ზოგადსაც და დარგობრივ მოდულებსაც. ამჯერად დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 21 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 5 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 16 დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემაღნიშნა, რომ მოეწონა ბიბლიოთეკით სარგებლობასთან დაკავშირებით გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მოეწონა რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც ბიბლიოთეკის გარემოს მიმზიდველობას ეხებოდა. ის დაინტერესდა, თუ რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია დაწესებულებას იმისათვის, რომ ბიბლიოთეკის სივრცე სტუდენტებისთვის სასიამოვნო და მიმზიდველი იყოს, რათა ისინი უფრო ხშირად ესტუმრონ მას.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პრობლემა მხოლოდ კონკრეტულ დაწესებულებას არ ეხება — უმეტეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიბლიოთეკები თითქმის ცარიელია. ერთ-ერთი მიზეზი ელექტრონული რესურსების სიჭარბეა, რადგან მასწავლებლები სტუდენტებს სასწავლო რესურსებს ხშირად უშუალოდ ლინკებით უზიარებენ და შედეგად, ბიბლიოთეკით სარგებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს მხოლოდ სურვილის ხასიათს ატარებსდა არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულებაში ბიბლიოთეკა მოწესრიგებული არ არის. მისი აზრით, კომფორტული დივნების განთავსებაც კარგი გამოსავალი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ:406290954) დანართით განსაზღვრულ "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 312-ით **(დანართი 1)**.

მეორე საკითხი: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 მაისის MES 8 25 0000486945 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ირმა ქორთუა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), გიორგი მამასახლისი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "სპორტის ინსტრუქტორი", ხათუნა ურუშაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "მასაჟის თერაპია", (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის 16, 17, 18 და 20 ივნისს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ორ მისამართზე, ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. 55 და ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. 11., სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სახელმწიფო კოლეჯში. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებას. 2025 წლის 03 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების ორივე მისამართზე მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2025 წლის 16, 17 და 18 ივნისს ქ. თბილისში, ხოლო 20 ივნისს ქ. ქუთაისში ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა

კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (45 პირი, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 20 პროფესიული სტუდენტი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 27, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 1 ობიექტის წარმომადგენელი). პროგრამას კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, ორივე მისამართზე, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 17 ივლისს MES 7 25 0000883213 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულების განსაზღვრული ვადა არ აღემატება 5 თვეს. ექსპერტთა მიერ შეფასებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების დინამიკა, რომლის მიხედვითაც უმეტესი გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 17 ივლისის MES 7 25 0000883213 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა არ აღემატება 5 თვეს. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

სტანდარტი V მეტწილადაა დაკმაყოფილებული, რადგან: ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქ. თბილისის ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. რადგან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი (იგივე შენობის მეორე სართულიდან გადავიდა მესამე სართულზე) დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებისა და აქტივობების განხორციელება“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწყებული იყო, შესაბამისი უწყებიდან მიღებული კორესპოდენციის მიხედვით, განსაზღვრული იყო კოლეჯის მიერ შესასრულებელი აქტივობები, რომელთა შესრულება კოლეჯმა ივნისის თვეში დაიწყო, ამიტომ შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში დასრულებადია, ვრცლად იხილეთ 5.1.2.1 ინდიკატორის აღწერა.

სტანდარტი II მეტწილადაა დაკმაყოფილებული, რადგან: ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, დაწესებულების ღონისძიებაა „მასაჟის თერაპიის საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა, ინვენტარის ნაწილი საქართველოში ჩამოსული იყო, თუმცა დაწესებულებისთვის გამოცემული არ იყო, ხოლო ნაწილის შეკვეთა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გახორციელდა, ამიტომ შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში შესრულებადია, ვრცლად იხილეთ 2.2.1.1 ინდიკატორის აღწერა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია მეთოდოლოგია სრულად და დეტალურად ასახავდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესსა და პროცედურებს, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე შეფასების შედეგების საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისა და შესრულების მიდგომებს, სტრატეგიული დაგეგმვის ციკლურობას და პროცესზე პასუხისმგებელ პირების განსაზღვრას, რომლებიც სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილნი იქნებიან მუდმივ წევრებად. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვის ერთგვაროვნებას და ფორმალიზებული პროცესების არსებობას.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ გააქტიუროს კომუნიკაცია სპორტის ფედერაციასთან პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებისა და მხარდაჭერის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, ისე ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას; 2. დაწესებულებამ უზრუნველყოს საცურაო მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის გავლის შესაძლებლობის გაზრდა ახალი ობიექტის მოძიებით, ან არსებულის სარგებლობის შესაძლებლობების გაზრდით.

ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის, თუმცა, რეკომენდებულია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვაკანსიების გაზიარებით და დაწესებულებამ გაზარდოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციის დასახელება და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ეხება შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შესრულებაზე პასუხისმგებელ საშტატო ერთეულს.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა პერსონალის

შეფასების შედეგების ანგარიშში წარმოადგინოს გასაუმჯობესებელი ასპექტები; 2. დაწესებულებამ შემუშავებულ "ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დამხმარე პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის კითხვარში დაამატოს კითხვები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას დააიდენტიფიციროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებები ან/და ცალკეულ საკითხებზე უკმაყოფილებების მიზეზები, რაც შესაძლებელია ღია კითხვების დამატების გზით იქნეს გამოვლენილი; 3. დაწესებულებამ გარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდისა, ჩაატაროს ხარისხობრივი კვლევის მეთოდები, მაგალითად როგორიცაა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები ან ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას უფრო სიღრმისეულად გაანალიზოს პერსონალის განვითარების კუთხით არსებული გამოწვევები და საჭიროებები.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია პერსონალის გადამზადების ღონისძიებების გაზრდა, მათ შორის დაწესებულებაში ხარისხის კულტურის განვითარების, ინსტიტუციურ დონეზე PDCA პრინციპების დანერგვის, დროის ეფექტური მართვის, სამუშაო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების და სხვა მიმართულებით, რაც დაეხმარება პერსონალს სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციაში, მაღალი ხარისხით შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდაში.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიუირების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. თუმცა, რეკომენდებულია ქ. თბილისის ბაზაზე დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურების პრაქტიკაში განხორციელება.

ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებაში სრულფასოვნად წარიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, იწარმოოს შესაბამისი ანგარიშგების პროცესი და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები.

ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ქ. ქუთაისია ბაზაზე სრულად აამოქმედოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა და მექანიზმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი"

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა

ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე და შემდგომ ხელშეკრულებებში მიუთითოს სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ. 2. დაწესებულებამ ქ. თბილისის ლოკაციაზე უზრუნველყოს ცურვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გაძლიერება ახალი ობიექტის მოძიების ან არსებულის დატვირთვის გაზრდის უზრუნველყოფით.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია გაძლიერდეს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, პროცესების ეფექტიანი შეფასება, ანგარიშგება და გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განხორციელდეს სრულად, ყველა მოდულზე, შემდგომ პერიოდებში გამოყენებულ იქნას რისკების სისტემა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "მასაჟის თერაპია"
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 17 ივლისს MES 7 25 0000883213 კორესპოდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული ვადა არ აღემატება 5 თვეს. ექსპერტთა მიერ გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N55-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 599,11 მ 2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2025 წლის 02 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. დაწესებულება იგივე შენობის მეორე სართულზე ფლობდა სასწავლო ფართს, თუმცა 2025 წლის 02 აპრილიდან გადავიდა იმავე შენობის მესამე სართულზე. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ინტერიერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დაწესებულება ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 477,97 მ 2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2021 წლის 01 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ორივე ლოკაციაზე დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები, თუმცა განსაზღვრული არ არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურები. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო მასალა-ნედლეულისა და ინვენტარის შესყიდვას ახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. ვინაიდან კოლეჯმა საანგარიშო პერიოდში შეცვალა ფართი (გადავიდა იგივე შენობის მესამე სართულზე), ფართი შეფასებული და მოწყობილია სასწავლო გარემოს შესაბამისად. ქ. ქუთაისის ლოკაციაზე არსებული ლიფტი ავარიულ მდომარეობაშია. შესაბამისად, დაწესებულება აღარ გამოიყენებს ლიფტს და ყველა სართულზე დამონტაჟებული აქვს ასაკეცი პანდუსები, რითაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებას. კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა ორივე ლოკაციაზე, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს. დაწესებულების პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული სივრცით, თავისუფალი აუდიტორიით, სველი წერტილებით. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, გამოყენების, შენახვისა და განკარგვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებისას. კოლეჯის ორივე ლოკაციის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულების ქ. თბილისის ბაზაზე დასაქმებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს არ ჰქონდა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის გავლის ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, 2025 წლის 18 ივნისს შრომითი ხელშეკრულებით აიყვანა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ქ. თბილისის ბაზაზე არასრულად ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. დაწესებულებაში არ ხორციელდება რისკების შეფასება. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პერსონალს გარკვეული პერიოდულობით უტარდება კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ინსტრუქტაჟი, თუმცა ინსტრუქტაჟის ჟურნალში აღნიშნული ჩანაწერები არასრულად იყო წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ახლად აყვანილ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც დაადასტურა შესასრულებელი მოვალეობების განხორციელების კომპეტენცია და აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული აქტივობის შესრულებას. დაწესებულების დორექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N03-15 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“ და „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია“. ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში არსებულ ფართზე დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო

რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. ქ. თბილისის ბაზაზე კოლეჯში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი, ხოლო ქ. ქუთაისის ბაზაზე აღნიშნული მოვალეობა შეთავსებული აქვს სასწავლო პროცესის კოორდინატორს, რომელსაც გავლილი აქვს საბიბლიოთეკო საქმის ტრენინგი. ქ. თბილისის ბაზაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრის“ დასკვნა ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. N55-ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე. რადგან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი (იგივე შენობის მეორე სართულიდან გადავიდა მესამე სართულზე) დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. წარმოდგენილია უწყების 2025 წლის 18 ივნისის N MIA62501869640 წერილი, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურებების - შენობა-ნაგებობის, ან სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების, ასევე სისტემების გამოცდის შემდეგ, თუ ობიექტს დაუდგინდება ხარვეზი და ვერ მიიღებს დადებით დასკვნას, არაუმეტეს 3 თვის ვადაში, ერთჯერადად, დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე შესაძლებელია შემოწმების განმეორებით ჩატარება და ხარვეზების აღმოფხვრის დადასტურების შემთხვევაში დადებითი დასკვნის გაცემა. ქ. ქუთაისის ბაზაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „კარიბჭეს“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა ქ. ქუთაისი, გაპონოვის ქ. N11- ში არსებული შენობის მდგრადობის თაობაზე. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. ქუთაისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქ. თბილისის ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. რადგან დაწესებულებამ შეიცვალა ფართი (იგივე შენობის მეორე სართულიდან გადავიდა მესამე სართულზე) დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. თუმცა, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებისა და აქტივობების განხორციელება“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის ქ. თბილისის ბაზაზე არსებულ შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწყებული იყო, შესაბამისი უწყებიდან მიღებული კორესპოდენციის მიხედვით, განსაზღვრული იყო კოლეჯის მიერ შესასრულებელი აქტივობები, რომელთა შესრულება კოლეჯმა ივნისის თვეში დაიწყო, ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში დასრულებადია.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კოლეჯში ორივე ლოკაციაზე ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, რის დასტურადაც წარმოდგენილია ორივე ლოკაციის ქსელის ადმინისტრატორების ანგარიშები, IT ინფრასტრუქუტრის გაუმჯობესების რეკომენდაციები, მოთხოვნის ფორმები და შესყიდული ინვენტარი. დაწესებულების მფლობელობაში არსებული IT რესურსების ვიზუალური

დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები, თუმცა IT ინფრასტრუქტურა საჭიროებს სრულყოფას, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე. კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები. დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. კოლეჯის მთავარი ბუღალტერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიში, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი“ (ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაციები)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ლოკაციაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის ,,სპორტის ინსტრუტორი” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების თეორიული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში დაწესებულება უზრუნველყოფს ქ, თბილისში 80, ხოლო ქ. ქუთაისში 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს:

ქ. თბილისის ლოკაციაზე:

1. საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20

პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული; ხელშეკრულების ფარგლებში, 2025 წლის 20 იანვარს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შპს „არენა“ იღებს ვალდებულებას 2025 წლის 20 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით და 15 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით, „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის „გამოყენებითი ცურვის“ მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გამოუყოს 1 ბილიკი საათნახევრით 4 სხვადასხვა საათობრივი განრიგით.
2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 01 აპრილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #76ბ) არსებული სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება (ი. ჭავჭავაძის გამზ. N49) კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) და თეორიული სწავლების (A გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 20 პროფესიული სტუდენტი;
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი. ჭავჭავაძის გამზ. N49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (სპორტული თამაშები), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 10-10 პროფესიული სტუდენტი;
4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული პროგრამის დასრულებამდე (2 წელი); ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული (ი. ჭავჭავაძის გამზ. N 49) სპორტული მოედნებისა და სპორტული დარბაზებით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“, მოდული - სპორტის სახეობები (ფეხბურთი), პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობებისა (C გარემო) ჩასატარებლად, თითო ჯერზე 15-15 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - „სპორტის სახეობები“ განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:
1. ა(ა)იპ „ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - აკრობატიკა. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
2. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - ძიუდო, კრივი. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 15 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - ფეხბურთი. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
4. საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10

პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - ფარიკაობა. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
5. საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - ცურვა, დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
6. გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთისა კინოეს და ნიჩბოსნობის აკადემია, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - ნიჩბოსნობა, დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;

ქ. ქუთაისის ლოკაციაზე:
1. „ა(ა)იპ ქუთაისის ოლიმპიურ საცურაო აუზთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული;
2. „ა(ა)იპ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება-N19 მძლეოსნობის სასპორტო სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება მძლეოსნობის მოდული;
3. „ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მ. ყუფარაძის სახელობის N20 ტანვარჯიშის სპორტულ სკოლასთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება გამოყენებითი ტანვარჯიშის მოდული.

პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - სპორტის სახეობები განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები:
1. ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - საერთო ფიზიკური მომზადება, სადაც დასაზუსტებელია სპორტის რომელი სახეობა იგულისხმება. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან;
2. ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - სპორტული თამაშები (ძალოსნობა, ჭიდაობა), დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან.

დაწესებულების მიერ მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებაში არ არის მითითებული სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ, რადგან აღნიშნული მოდული ჯერ არ დაწყებულა, დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია.

ექსპერტის განცხადებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ

მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე და შემდგომ ხელშეკრულებებში მიუთითოს სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ; 2. დაწესებულებამ ქ. თბილისის ლოკაციაზე უზრუნველყოს ცურვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გაძლიერება ახალი ობიექტის მოძიების ან არსებულის დატვირთვის გაზრდის უზრუნველყოფით. ქ. თბილისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „სპორტის ინსტრუქტორი“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „სპორტის ინსტრუქტორის“ პროგრამისთვის მოიაზრება 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ქ. ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „სპორტის ინსტრუქტორი“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „სპორტის ინსტრუქტორის“ პროგრამისთვის მოიაზრება 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „სპორტის ინსტრუქტორი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით. დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას. ორივე ლოკაციაზე კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“ (ქ. ქუთაისი, ქ. თბილისის ლოკაცია)

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე როგორც ქ. თბილისის, ხოლო ქ. ქუთაისის ლოკაციაზე, პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. დაწესებულებას რესურსის ნაწილი აქვს შეძენილი და ხელმისაწვდომია, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე, თუმცა პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის ყველა რესურსი არ არის ხელმისაწვდომი. დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება ინვენტარის შესყიდვაზე, ნაწილი მათგანი საქართველოში ჩამოსული იყო,

თუმცა კოლეჯში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ იყო გადმოცემული, ხოლო მეორე ნაწილი დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შეუკვეთა. მთლიანობაში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებისას დაწესებულების არც ერთ ლოკაციაზე ადგილზე არ იყო - დინამომეტრი - კუნთების ძალის გასაზომად, ერთჯერადი CPR სახის ნიღაბი (სტუდენტების რაოდენობის მიხედვით), სისხლდენის სიმულატორი, ლეიკოპლასტირი, Emergency blanket/ემერჯენსის პლედი, ჩვილის გულ-ფილტვის რეანიმაციის მულაჟი, მოზრდილის გულ-ფილტვის რეანიმაციის მულაჟი, AED-ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის სიმულატორი, ფარი საფიქსაციო ღვედებით და კისრის საფიქსაციო მოწყობილობით, კისრის უნივერსალური საყელო (მოზრდილი), კისრის უნივერსალური საყელო (ბავშვი), არტაშანების კომპლექტი კიდურებისათვის, კენდრიკის არტაშანი, ბლაგვწვერიანი მაკრატელი, პგდ ბროშურა ლამინირებული სახით. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა. ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში დაწესებულება უზრუნველყოფს ქ, თბილისში 15, ხოლო ქ. ქუთაისში 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სარეაბილიტაციო ცენტრთან „ნაიო“. ხელშეკრულება გაფორმებულია პროგრამის განხორციელების ვადით და დაწესებულება მზადაა მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი 2 ნაკადად. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე, გაესაუბრა ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის შერჩეულ პერსონალს. სარეაბილიტაციო ცენტრი მოქმედია, დატვირთული იყო პაციენტებით და აქტიურად ემსახურებოდა სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებს. დაწესებულება მზადაა მიიღოს პროფესიული სტუდენტები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, დაწესებულების ღონისძიებაა „მასაჟის თერაპიის საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ პროგრამის დარჩენილი რესურსის შესყიდვის პროცესის დასრულებისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა, ინვენტარის ნაწილი საქართველოში ჩამოსული იყო, თუმცა დაწესებულებისთვის გამოცემული არ იყო, ხოლო ნაწილის შეკვეთა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გახორციელდა, ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში შესრულებადია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „მასაჟის თერაპია“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარის პირველი კითხვა შეეხებოდა 1.2.1.1 ინდიკატორს, რომელიც დასკვნაში დაკმაყოფილებულად იყო შეფასებული, თუმცა გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია. თავმჯდომარემ დაინტერესდა, რამდენად რეალურად ფუნქციონირებს ამ

ეტაპზე დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვის ციკლი — დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების ლოგიკური თანმიმდევრობით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას სტრატეგიული დოკუმენტი ძველი სტანდარტით ჰქონდა შემუშავებული. მისი შვიდწლიანი ვადა იწურებოდა, რის გამოც საჭირო იყო ახალი მიდგომებისა და მოთხოვნების გათვალისწინება. მეთოდოლოგიაში მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი არსებობდა დაინტერესებული მხარეების ჩართვაზე, თუმცა კონკრეტულად ვინ იქნებოდა ეს მხარე, მითითებული არ იყო. ექსპერტების რჩევის შემდეგ დაწესებულებამ დაამატა სტუდენტები, პერსონალი და დამსაქმებლები, თუმცა ციკლურობის კომპონენტი ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული.

ექპერტმა აღნიშნა, რომ ინტერვიუსას ხარისხის მენეჯერმა დაადასტურა ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების საჭიროება. წინა რეკომენდაციებიდან ნაწილობრივ შესრულებული იყო ცვლილებები (მისიის გადახედვა, ხედვის დამატება), თუმცა პროცესი ბოლომდე ფორმალიზებული არ ყოფილა. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა მონიტორინგისა და ანგარიშგების ფორმები. ადრე ანგარიშები მხოლოდ ნარატივის სახით იწერებოდა და სტრატეგიულ მიზნებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა. ახლა დამტკიცებული ფორმები მოიცავდა ყველა საჭირო კომპონენტს. ასევე, პასუხისმგებელი პირები სწორად იყვნენ განსაზღვრული, რაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას უწყობდა ხელს. ექსპერტის განმარტებით, მეთოდოლოგია მეტწილად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, თუმცა საჭიროებდა სრულყოფას.

თავჯდომარე დაინტერესდა განმავითარებელი რეკომენდაციით 3.2.2.1, რომელიც ეხებოდა კარიერული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის. მან აღნიშნა, რომ თუ მხარდაჭერა მხოლოდ ვაკანსიების გაზიარებით შემოიფარგლებოდა, შეიძლებოდა შეფასებულიყო, რომ დაწესებულება მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებდა და არა მიზნობრივად.

ექპერტმა განმარტა, რადგან დაწესებულებაში პირველი ჩარიცხვა მხოლოდ ნოემბერში განხორციელდა და სტუდენტები სულ 7 თვე სწავლობდნენ პროგრამაზე. ამ ეტაპზე შესაძლებელი იყო მხოლოდ დასაქმების მაჩვენებლის კვლევის ჩატარება ორივე ლოკაციაზე და ვაკანსიების გაზიარება, რასაც ფედერაცია აცხადებდა. შრომის ბაზარზე ამ მიმართულებით ფართო სპექტრი არ არსებობდა, თუმცა რაც იყო, სტუდენტებს უზიარებდნენ. ექსპერტებმა ურჩიეს, რომ მომავალში დამატებით მოეწყოთ დასაქმების ფორუმები და სხვა ღონისძიებები, რათა სტუდენტებს მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ და დამსაქმებლებთან გასაუბრებოდნენ. ასევე, რეკომენდაციაში იყო მითითებული, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ პრაქტიკული დავალებებისა და პორტფოლიოების წარდგენის. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას ჰყავდა კარიერული მხარდაჭერისთვის სპეციალისტი, რომელიც საკმაოდ კვალიფიციური იყო, თუმცა ჯერ პრაქტიკული მუშაობის ეტაპი უნდა გაევლო. მისი თქმით, პირველი პროცესის გათვალისწინებით, დაწესებულებას მეტი ვერ მოეთხოვებოდა.

თავჯდომარემ იკითხა ინდიკატორ 5.1.1.7-ის შესახებ, რომელიც ეხებოდა ხარისხის შიდა მექანიზმებს. იგი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა მაგალითი, როდესაც შეფასების შემდეგ განხორციელდა ცვლილება.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ ასეთი შემთხვევა მართლაც იყო. ხარისხის მენეჯერი, რომელმაც გასცა რეკომენდაციები სასწავლო რესურსების განახლებასთან დაკავშირებით, ამის შედეგად, მოდულების სასწავლო რესურსი შეფასდა, დაემატა ახალი ლიტერატურა, რამაც პროცესი

გააუმჯობესა. ექპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება რეალურად მუშაობდა, თუმცა დოკუმენტირება არ ხდებოდა, რადგან დაწესებულებას რესურსები არ ჰყოფნიდა. ძირითადი ყურადღება მხოლოდ კადრების შენარჩუნებაზე იყო გამახვილებული, რადგან ფინანსური რესურსები შეზღუდული იყო. მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების გამო პროცესები არასრულყოფილად მიმდინარეობდა. ახლა კი დაფინანსების გაზრდით გამოჩნდა, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებდა რესურსებს განვითარებისთვის, რაც ინფრასტრუქტურისა და პერსონალის კომპეტენციის თვალსაზრისითაც შესამჩნევი იყო. მან ხაზი გაუსვა, რომ ადრე ყველა პროცესის ადმინისტრირება ხარისხის მენეჯერს უწევდა, ახლა კი უკვე განსაზღვრული იყო თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

თავჯდომარემ დაინტერესდა ინდიკატორ 2.4.2.2-თან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ ვერიფიკაცია უნდა განხორციელებულიყო სრულად, ყველა მოდულზე, ხოლო შემდგომში შეფასებულიყო რისკები.

ექპერტის განმარტებით, ვერიფიკაცია გულისხმობდა, რომ შეფასების ინსტრუმენტი რელევანტური და სწორი უნდა ყოფილიყო. პროცესის ვერიფიკაცია უზრუნველყოფდა გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და საკმარისი მტკიცებულებების არსებობას. ვინაიდან დაწესებულებაში ეს პროგრამა პირველად ხორციელდებოდა, ვერიფიკაციის პროცესი ახალი იყო. ამიტომ ექსპერტების რეკომენდაციით, პირველ ეტაპზე ყველა მოდულზე უნდა ჩატარებულიყო მსგავსი დაკვირვება, ხოლო შემდგომში რისკების მართვის სისტემა უნდა გამოყენებულიყო. ინტერვიუსას ხარისხის მენეჯერმა განაცხადა, რომ თავად შეარჩევდა პროფესიულ მოდულებს დაკვირვებისთვის, შერჩევითობის პრინციპით. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ზოგადი და თეორიული მოდულებიც მნიშვნელოვანია და ამიტომ ყველა მოდულზე ვერიფიკაცია აუცილებელი იყო.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირები. მაგალითად, ინდიკატორი 2.2.1.1, რომელიც ეხებოდა სპორტის ინსტრუქტორის პროგრამას, კოლეჯს განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, თავჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების განმარტებით, ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით ზოგადი მოდულების მიმართულებით ახალი მასწავლებლები არ ჰყავდათ. 2016 წლიდან 2020 წლამდე კოლეჯი ახორციელებდა ორ მოდულურ პროგრამას: მასაჟისტი/რეაბილიტატორი და ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი. ზოგადი მოდულების მიმართულებით მასწავლებლები იგივე დარჩა, რის გამოც ვერიფიკაციის პროცესი ზოგად მოდულებზე არ დაწყებულა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პრაქტიკულ მოდულებზე, რადგან იქ მეტი რისკი არსებობდა. მასწავლებლებიც ახალი იყვნენ, მოდულური სწავლება კი სრულიად ახალი მიმართულება იყო, რაც დამატებით საფუძველს ქმნიდა ყურადღების პრაქტიკულ კომპონენტებზე გადატანისთვის. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ითვალისწინებდა ექსპერტების რეკომენდაციებს და უკვე დაწყებული ჰქონდა თეორიული მოდულების ვერიფიკაციის პროცესი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმსაზღვრელი შეფასების პროცესს ესწრებოდნენ. აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია მიღებული და გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართ დაწესებულებას, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში ინდიკატორ 2.2.1.1 მიმართებით (სპორტის ინსტრუქტორი) ჩანაწერი იყო შემდეგი: „არ არის შესრულებული“. თუმცა, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა მწვრთნელებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად იყო მითითებული სპორტის სახეობები, რომელთა ფარგლებშიც კოლეჯთან თანამშრომლობა უნდა განხორციელებულიყო.

კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებთანაც იყო გაზიარებული და ხელშეკრულებების გადახედვის შემდეგ საკითხი შესრულებულად შეფასდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყველა ხელშეკრულება პირადად გადაამოწმა და ყველგან მითითებული იყო შესაბამისი სპორტის სახეობა. გარდა ამისა, მას ჰქონდა კომუნიკაცია კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან, რომელმაც დაადასტურა, რომ აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ ექსპერტთანაც იყო განხილული და დოკუმენტაციაც წარდგენილი იყო. შესაბამისად, საკითხი შეიძლებოდა შესრულებულად შეფასებულიყო.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულებას ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულება ყველა განმავითარებელ რეკომენდაციას და გეგმავდა თუ არა მათ შესრულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ყველა რეკომენდაციას და გეგმავს მათ სრულად შესრულებას.

ექპერტმა დამატებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მწვრთნელებთან წინარე ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდა, რაც ლოგიკური იყო, რადგან აღნიშნულ ეტაპზე შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება შეუძლებელი იყო. მისი განმარტებით, რეკომენდაციის მიზანი იყო, რომ მომავალში, როდესაც შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდებოდა (სავარაუდოდ ოქტომბერში ან ნოემბერში), სპორტის სახეობები დეტალურად და სწორად იდენტიფიცირებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 2)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 15 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში, 2.2 კომპონენტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაციებზე, ასევე ჩაინიშნოს მონიტორინგი 5.1 კომპონენტში ქ. თბილისის ლოკაციაზე. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 7 ოქტომბერი.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 30 მაისის MES 8 25 0000599814 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N189) 2025 წლის 25, 26 და 27 ივნისს (შორენა ხუბუნაია, ქეთევან ანთაძე) დარგის ექსპერტებმა გიული გურგენიძემ და თორნიკე

თუთარაშვილმა 2025 წლის 26 ივნისს, ხოლო მზია ბაკურიძემ და თამილა გრძელიშვილმა 27 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შორენა ხუბუნაიამ და ქეთევან ანთაძემ შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV,V) შესაბამისობა, პარალელურად დარგის ექსპერტებთან ერთად დაწესებულების ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა. დაწესებულება პირველად გადის ავტორიზაციას, თუმცა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი ფუნქციონირებს 2006 წლიდან, თავდაპირველად აკადემია წარმოადგენდა ტრენინგ-ცენტრს, ხოლო შემდეგ განათლების მსურველთა რაოდენობის სიმრავლემ გამოიწვია ახალი პროფესიული მიმართულებების ფორმირება და მოკლევადიანი სასწავლო და სასერტიფიკატო კურსების დანერგვა.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეების დათვალიერება. ასევე, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან აკადემიის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებოსიტუაციებისმართვისმექანიზმი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. *აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.3 ინდიკატორის აღწერა.*

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაიცვას აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში ჩართოს პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ახლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების სტრატეგიულ დაგეგმვაში პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობა ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას.*

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის

დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიშგების სტრუქტურირებული ფორმა, რაც გაამარტივებს ანგარიშგების პროცესს და სრულად უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის აკუმულირებას, ასევე აკადემიას შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს აქტივობის შესრულებული სტატუსი/ხარისხის და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.*

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, *თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა პრაქტიკაში გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეიმუშაოს შესაბამისი დასკვნები, ანგარიშები და პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას ჯერ ავტორიზაცია არ აქვს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელი იყო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გარკვეული ნაწილის ამოქმედება, მაგალითად დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურის რესურსების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასება და სხვ. მით უფრო დაწესებულება 17 წელია ფუნქციონირებს და ახორციელებს როგორც პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების, ისე სხვა სასერტიფიკატო პროგრამებს. ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალიზებული პროცესია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შედეგებს.*

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგებს.*

ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაციის წესი“ და გამოიყენოს პრაქტიკაში.*

ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი, *თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და მათზე დელეგირებული მოვალეობები, რელევანტურად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები და აკადემიაში დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემების სახეები.*

ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, *თუმცა, ვინაიდან აკადემიის მისიასა და დასახელებაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი - კერძოდ „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები“, რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.*

ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, *თუმცა მას არ აქვს კატალოგის სახე, ამიტომ რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გარდა მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის, პარტნიორების, მიღწევების, სერვისების და სხვათა შესახებ, რაც საინტერესო და სასარგებლო იქნება დაინტერესებულ პირებისათვის.*

ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაო სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე განსაზღვრას საბიუჯეტო დაგეგმვის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც დაეხმარებათ ფინანსური პროცესების ეფექტიან მართვაში.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“; „ბუღალტრული აღრიცხვა“; „საექთნო განათლება“; „ფარმაცია (სააფთიაქო)

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,*თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულება ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N189-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 610,33 $м^2$ ფართს, აკადემიის მიერ წარმოდგენილი ორი იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2025 წლის 08 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 7 წელი. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ინტერიერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. აკადემიაში მოწყობილია თეორიული სწავლების აუდიტორია/ები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია, ლაბორატორიები (ქიმიური, ფარმაციის), ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის, ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი. დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. აკადემიას პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს. თუმცა, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი”, რის მიხედვითაც განსაზღვრულია აკადემიის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია აკადემიის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის. რადგან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, აკადემიის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას.

აკადემიის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელშესაწყობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში არსებული სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. აკადემიის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები. აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სერტიფიცირებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და მას აქვს ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებაში დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N00000039 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები, ასევე რისკების დონის მართვის მეთოდოლოგია. აკადემიაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (6 თვეში ერთხელ) ხორციელდება რისკების შეფასება. პერსონალს უტარდება ინსტრუქტაჟი კანონმდებლობით დადგენილ თემატიკაზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია ინსტრუქტაჟის აღწერა და პერსონალის ხელმოწერა, რისკების მართვის დოკუმენტი და შესაბამისი დასკვნები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმ) საჭიროებებს – სანიტარული კვანძები ადაპტირებულია მათი გადაადგილებისა და გამოყენების კომფორტისთვის. ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ამ სივრცეებზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ და ინკლუზიურ გარემოს. დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, აკადემიის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკადემიის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, გამართული IT ტექნიკა და ინტერნეტი.

აკადემიაში დასაქმებული პერსონალის და მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემია აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. აკადემია უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნეტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს, როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კომუნიკაციის მიზნით, აკადემია იყენებს ელექტრონულ ფოსტას.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“), სოციალური გვერდი და აკადემიის ვებგვერდი. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას. აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს აკადემიის დირექტორს. აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება აკადემიის მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისებით. დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვასა და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე განსაზღვროს საბიუჯეტო დაგეგმვის, მათ შორს საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც დაეხმარებათ ფინანსური პროცესების ეფექტიან მართვაში. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N8 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. აკადემიამ 2025 წლის 25 თებერვალში მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, თუმცა, ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხზე დადებითი უკუკავშირი წარმოდგენილი არ არის. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის გეგმა“, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობების შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია პსდ-ის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება აკადემიის ბაზაზე.ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს ორი AB/BC გარემო (აუდიტორია N5 და N19), თითოეულ ოთახში განთავსებულია 12-12 კომპიუტერი. ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 24 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 48 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით. პროგრამით განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში პროგრამისთვის მოიაზრება 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების საკითხებზე. პროგრამასჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე IT სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიაში არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემოები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით, რომელიც განხორციელდება აკადემიის ბაზაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს ორი AB გარემო (აუდიტორია N13 და N14), თითოეულ ოთახში განთავსებულია 12-14 კომპიუტერი. ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 26 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 52 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას, თუმცა დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 48 პროფესიული სტუდენტის მიღება. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით. კომპიუტერებში ჩატვირთულია საბუღალტრო ელექტრონული პროგრამა - „ორისი“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ბუღალტრული აღრიცხვა“განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში პროგრამისთვის მოიაზრება 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი

კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების საკითხებზე.

პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის თაობაზე, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე ჩართულია პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. პროგრამის განხორციელებისთვის შემუშავებულია უსაფრთხოების სტანდარტული ნორმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

აკადემიის მისიის მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შეესაბამება დაწესებულების მისიას.პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“განხორციელდება აკადემიის და შპს „პსპ ფარმას“ ბაზაზე, მხარეთა შორის 2025 წლის 05 თებერვალს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს:

- AC აფთიაქი (აუდიტორია N6), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მასალა-ნედლეულითა და თვალსაჩინოებებით, გათვლილია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტისთვის;
- AC ქიმიური ლაბორატორია (აუდიტორია N 7), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მასალა-ნედლეულითა და თვალსაჩინოებებით, გათვლილია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტისთვის;
- AB გარემო (აუდიტორია N 15), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, გათვლილია ერთდროულად 12 პროფესიული სტუდენტისთვის.

ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 62 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 124 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას, თუმცა დაწესებულებას

მოთხოვნილი აქვს 100 პროფესიული სტუდენტის მიღება ორ წელიწადში. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში პროგრამისთვის მოიაზრება 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს, რომლებმაც სრულფასოვნად აღწერეს პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“
აკადემიის მისიის მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“ შეესაბამება დაწესებულების მისიას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით, რომელიც განხორციელდება აკადემიის და შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე:

- **შპს „ქალაქ თბილისის წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი“**, ს/კ 202901832, მისამართი - ქ. თბილისი, გ. ჟვანიას ქ. N15, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000160, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;
- **შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“,** ს/კ 211385767, მისამართი - ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000219, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;
- **აიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“,** ს/კ 205275879, მისამართი - ქ. თბილისი, ნუცუბიძის 187ა; დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 4 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული პროგრამის ორი მოდულის - შინმოვლა და ავადმოვა განხორციელება.

- **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა ცენტრი“,** ს/კ 209446900, მიქამართი - ქ. თბილისი იპოლიტოვ ივანოვის ქ. N8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000693, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;
- **შპს „ აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“**, ს/კ 202193544, მისამართი - ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N66/ბოხუას ქ. N12; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000765, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 27 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და კლინიკების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს:

- A გარემო (პირველადი გადაუდებელი სამედიდიცინო დახმარების სწავლებისთვის AC გარემო) (აუდიტორია N12), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მასალა-ნედლეულითა და თვალსაჩინოებებით, გათვლილია ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტისთვის;
- AB გარემო (აუდიტორია N 15), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, გათვლილია ერთდროულად 12 პროფესიული სტუდენტისთვის;

ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 36 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 72 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას, თუმცა დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 144 პროფესიული სტუდენტის მიღება სამ წელიწადში, თითო წელს 48 პროფესიული სტუდენტის მიღებით. პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით მეორე და მესამე წელს მიმდინარეობს კლინიკური მოდულები პატრნიორ სამედიცინო დაწესებულებებში. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში პროგრამისთვის მოიაზრება 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამასჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის

ხელმძღვანელს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტებს მეორესტანდარტის 1.2.1.2. ინდიკატორთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით 1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაიცვას აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში ჩართოს პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ახლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების სტრატეგიულ დაგეგმვაში პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობა ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას.*

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, რადგან ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება უნდა იყოს თანამონაწილეობითი და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, შესაძლებელია თუ არა, რომ ეს შეფასდეს როგორც ინდიკატორის მოთხოვნის შეუსაბამობა და არა მხოლოდ გაუმჯობესების საჭიროება, დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს აკადემიის შიდა ჯგუფში არ განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა, მიუხედავად დაწესებულების მეთოდოლოგიის მოთხოვნისა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში ჩართულ სამუშაო ჯგუფში, იყვნენ წამყვანი დარგის ექსპერტები, რომლებიც ამავე დროს არიან პარტნიორ ორგანიზაციაში დასაქმებული თანამშრომლები, აქედან გამომდინარე, დარგის საჭიროებები იდენტიფიცირებული იქნებოდა მათი მხრიდან, თუმცა, ეს ადამიანები პარტნიორ ორგანიზაციებში არიან დასაქმებულები, როგორც რიგითი თანამშრომლები, ამიტომ რეკომენდირებულია სამუშაო ჯგუფში ჩართონ დარგის უფრო მაღალი რანგის თანამშრომლები.

საბჭოსთავმჯდომარემ კითხვა დასვა ასევე 4.2.1.2. ინდიკაორთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმც ა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგებს.*
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინდიკატორიდან გამომდინარე შესაძლოა პერსონალის განვითარების გეგმა იყოს წლიური სამოქმედო გეგმის ნაწილი, თუმცა იგი უნდა შეიცავდეს პერსინალის განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაფუძნებულ აქტივობებს, მოცემულ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა წლიურ სამოქმედო გეგმაში

დაწესებულებას მხოლოდ სტრატეგიულ მიზნად ჰქონდა განსაზღვრული ადამიანური რესურსების განვითარება და დაგეგმილ აქტივობად მხოლოდ პერსონალისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ზოგადი სახის ჩანაწერი იყო, თუმცა, რადგან ეს იყო დაწესებულების პირველადი ავტორიზაცია და არა განმეორებითი რეავტორიზაცია, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია. დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმი, რომ ჩაატარებს საჭიროებათა კვლევებს და შემდეგ გაითვალისწინებს მას, სამოქმედო გეგმაშიც ზოგადად უწერიათ პერსონალის განვითარების ღონისძიებები და ინტერვიუirების დროსაც ითქვა, რომ თუ დაწესებულება მიიღებს ავტორიზაციას და შრომით ურთიერობაში შევა პროფესიულ მასწავლებლებთან, რეალურად აამოქმედებს მოცემულ მექანიზმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოსწევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, კონკურენციის პირობებში რას სიახლეებს სთავაზობს კოლეჯი შრომის ბაზარს და რა პრიორიტეტი გამოარჩევს მას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, კოლეჯს აქვს ძალიან კარგი სტატისტიკა დასაქმების კუთხით, აქვთ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაღალი გამოცდილება, ასევე, აქვთ კარგი ინფრასტრუქტურა და ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიალური, ობიექტური თანამშრომლობისათვის და საუკეთესო სიღრმისეული რეკომენდაციებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის (ს/კ:400306860) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	312
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	სპორტის ინსტრუქტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სპორტის ინსტრუქტორობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1014
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი ბ. გაპონოვის 11
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. 55
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი ბ. გაპონოვის 11
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	144
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210